სადოქტორო პროგრამის დასახელება: ამერიკისმცოდნეობა /American Studies

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ამერიკისმცოდნეობის დოქტორი/PhD in American Studies
სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა: ანთროპოლოგია

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ამერიკისმცოდნეობა ინტერდისციპლინარული და ამდროულად მულტიდისციპლინარული სადოქტორო პროგრამაა, რომელიც მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში არსებობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის აქტუალურია საქართველოშიც, სადაც ინტერესი განათლებისა და მეცნიერების აღნიშნული დარგისადმი ყოველწლიურად იზრდება. პროგრამით გათვალისწინებული საკვლევი პრობლემების თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანია და გულისხმობს აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს - ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, სულიერი და მატერიალური კულტურის - შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის, ამერიკაში ქართული დიასპორისა და ყველა იმ საკითხს, რომლის ცოდნა საქართველოსთვის პრიორიტეტულია.
ამერიკისმცოდნეობა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი დარგია. დღეს არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომლებზეც უკვე ათეულობით და მეტი სტუდენტი სწავლობს. ამერიკისმცოდნეობის მიმართულება საქართველოს სხვა უნივერსიტეტებშიც დაინერგა. ასეთ ვითარებაში იგრძნობა პროფესიული კადრების ნაკლებობა, რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელია. ამავე დროს აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მიღწევებისა თუ პრობლემების ობიექტური ანალიზი ქართველ მეცნიერებს საკუთარი ქვეყნის პრობლემების მოგვარებაშიც დაეხმარება.

ა) პროგრამის მიზნები:

- მოამზადოს ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, რომელსაც ექნება ამერიკისმცოდნეობის მის მიერ არჩეული და ასევე მომიჯნავე მიმართულებების სრულყოფილი თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა.
- სრულად დაეუფლოს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდებს.
- მიიღოს კვლევისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის გამოცდილება, რის შედეგადაც მზად იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამ-სახურისისთვის.
- მოამზადოს როგორც თეორეტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი მეცნიერები და პედაგოგები, რომლებსაც სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია ექნებათ.

ბ)პროგრამის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება

- ამერიკის ცხოვრების კონკრეტული სფეროების ღრმა ცოდნა;
- აშშ-ის, კანადის ან ლათინური ამერიკის ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურული განვითარების, ასევე, ამერიკელი ერის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის ქართულ-ამერიკული ურთიერთობების კონკრეტული პრობლემების გაცნობიერება;
- ინგლისური და ესპანური ენების ცოდნა, შესაბამისად C1 და B2 დონეები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები

- აშშ-ის და ლათინური ამერიკის ქვეყნების როგორც მიღწევების, ასევე პრობლემების ცოდნის გამოყენების უნარი საკუთარი ქვეყნის პრობლემების უკეთ გაცნობიერებასა და მათი გადაჭრის გზების მოძიებაში;
- ინგლისურ და ესპანურენოვანი ლიტერატურისა და წყაროების ანალიზის უნარი;
- უცხოენოვანი მასალის მოსმენის, თარგმნისა და გააზრების უნარი.

ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

კოგნიტური უნარები: ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გაცემის, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სამეცნიერო ნაშრომის წერის უნარი; სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ლექცია-სემინარების ჩატარების უნარი;

ტექნოლოგიური უნარები: ინტერნეტ-რესურსების გამოყენება; PP-ში პრეზენტაციის მომზადება;

ლინგვისტური უნარები: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე; ინგლისურ და ესპანურენოვანი ლიტერატურის კითხვა და თარგმნა; ინგლისურ და ესპანურენოვანი აუდიო და ვიდეო მასალის მოსმენა და გაგება;

სისტემური უნარები: სამეცნიერო კვლევის, ლექცია-სემინარების ჩატარების უნარი.

გ) დასაქმების სფეროები:

დოქტორის ხარისხის მქონე ამერიკისმცოდნეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს უმაღლეს სასწავლებლებში, შესაბამის კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ამერიკისმცოდნეობაში, აგრეთვე ნებისმიერ ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებაში;
- თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომლებსაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ამერიკის თემატიკაზე, სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის, სტუდენტთა) სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეეებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი წარმოდგენილი უნდა იყოს სხვა სა-ბუთებთან ერთად);
- სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის სავალდებულო;
- ინგლისური ენის ცოდნა B-2 დონეზე. შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენა.

სასწავლო კომპონენტი:

საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები და აქტივობა - 35 კრედიტი:

- მეცნიერების მენეჯმენტი (5 კრედიტი)
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 კრედიტი)
- 2 კოლოქვიუმი 10 (5+5)
- პროფესორის ასისტენტობა - 15

საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები - 25 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი:

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია სადისერტაციო ნაშრომი, რომელზეც ის მუშაობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეც-

ნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის შემდგომ კვლევაში. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს 150-250 გვერდს (არაუმეტეს 400000 ასო-ნიშნისა, MS Word-ში, შრიფტის ზომა - 14). დოქტორანტურა დასრულე-ბულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას.
სადოქტორო დისერტაცია დასაცავად დაიშვება თუ საკვლევი თემის ირგვლივ დოქტორანტი გამოაქვეყნებს 3 ნაშრომს რეიტინგულ პერიოდულ გამოცემებში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
დოქტორანტების განკარგულებაში იქნება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, საუნივერსიტეტო და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკები, სხვადასხვა არქივები და წიგნთსაცავები, ინტერნეტ-რესურსები, პროფესორების პირადი ბიბლიოთეკები, საგარეო საქმეთა და პარლამენტის ბიბლიოთეკები. მათ შეეძლებათ: თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრსა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლი-ოთეკებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა: საჭიროების შემთხვევაში აუცილებელი უახლესი ლიტერატურის უცხოეთიდან გამოწერა.

დოქტორანტების რაოდენობა:
არსებული რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 3-5 დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული პროფესორები (CV იხ. დანართი):
ელენე მეძმარიაშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი (ისტორია, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სოციალური და ქალთა საკითხები, ქართული დიასპორა აშშ-ში)
მაიკლ როკლენდი - რატგერსის უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი, თსუ ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კონსულტანტი (სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელი, კონსულტანტი)
ვასილ კაჭარავა - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი (ისტორია, საშინაო და საგარეო პოლიტიკა)
ანასტასია ზაქარიაძე - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი, ამერიკული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (ფილოსოფია)
მანანა გელაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი (ფილოლოგია)
ეთერ ოკუჯავა - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (ხელოვნება, კინო).